ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2764976

ნომერი: AR1425697

თარიღი : 22.07.2016

გაცემის თარიღი : 08.08.2016

გაცნობის თარიღი : 08.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

გორგასლის ქ.N 1 მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით პეტრიაშვილი პ/ნ 01008036063
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 2

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 22/07/2016წ. AR1425697 განცხადება, სადაც ითხოვთ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულ წერილობით ნებართვაში გადაწყვეტილებაში №2699600 ცვლილების შეტანას, კერძოდ კრწანისის რაიონში, გორგასლის ქ. N 1 მიმდებარედ ღია სეზონური/საზაფხულო კაფისთვის ხის დამუშავებული დეკორატიული ბარის განთავსებას. გაცნობებთ, რომ საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე, სადაც საკითხს მიეცა დადებითი რეკომენდაცია. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მუხლი N66-ის პუნქტი N6-ის და მუხლი N17-ის პუნქტი N2-ის (საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე, ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა) შესაბამისად გეძლევათ ნებართვა ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ქ. N1 მიმდებარედ ღია სეზონური/საზაფხულო კაფის მოსაწყობად 2017 წლის 8 ივლისამდე წარმოდგენილი ესკიზის და ფოტო მონტაჟის შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.